

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონს „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N25, 22.08.2001, მუხ. 107) 126² მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეულ არანაკლებ 3 წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, უახლოეს სექტემბერ-ოქტომბერში, ამ კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები. თუ შუალედური არჩევნების ჩატარებამდე დარჩენილია 60 დღეზე ნაკლები, შუალედური არჩევნები ტარდება მომავალი წლის სექტემბერ-ოქტომბერში. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2010 წლის